ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4029029

ნომერი: AR1608837

თარიღი : 14.06.2018

გაცემის თარიღი : 22.06.2018

გაცნობის თარიღი : 26.06.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ი. ჭავჭავაძის გამზინი N17;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან გურული პ/ნ 01008021254
- თბილისი, ყიფშიძის N9ბ

ორგანიზაცია:
- შპს ქალამანი კოდი: 404885914

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს;
ბ) წინა ქვეპუნქტში აღნიშნული საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების მოწყობა ფართობის შეუზღუდავად დასაშვებია მხოლოდ შენობა-ნაგებობის ყრუ ფასადზე ან/და მშენებარე შენობა-ნაგებობის ფასადზე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით და შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა საჭიროა დათვლილი იქნას საპროექტო მთლიანი ფასადის ფართი და საპროექტო სარეკლამო აბრის ფართი, რომლის ფართიც არ უნდა იყოს ფასადის 20 %- ზე მეტი.
გაითვალისწინეთ ფასადის ფართზე რეკლამები დათვლილა უნდა განხორციელდეს არსებული რეკლამების ჩათვლით (ნაგულისმევია ინტერიერის სივრცეში არსებული რეკლამები) დ წარმოდგენილი იქნას ა ის არსებული ფოტო რომელზეც დამუშავებულია ფოტომონტაჟი;

-არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. საჭიროა განმარტოთ ვინ არის დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით და წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია მოსარგებლე წარმოდგენილ იქნეს ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტი საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გაითვალისწინეთ, რომ რეესტრში რეგისტრირებულ ხელშეკრულებას ვადა აქვს გასული. იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრეა დაინტერესებული საპროექტო სამუშაოებით და ფართი აღარ არის სარგებლობით გაცემული განახლდეს ამონაწერი და სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს ან წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.